ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4650588

ნომერი: AR1703148

თარიღი : 23.08.2019

გაცემის თარიღი : 30.08.2019

გაცნობის თარიღი : 30.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეკინის , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის ნომერი" - არასწორია, უნდა მიუთითოთ გადაწყვეტილების ნომერი №243610, ნაცვლად განაცხადის ნომერისა.

2. "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის თარიღი" - არასწორია, უნდა იყოს 02 ივლისი 2012 წ.

3. "სანიტარული დაცვის ორგანიზაციის როექტი -> ..სანიტარული დაცვის ორგანიზაციის როექტი pdf ფაილი" - ვინაიდან არსებულ ანძას ემატება ახალი ანტენების მოწყობილობა, ხოლო წარმოდგენილი შპს მაგთიკომის საბაზო რადიოსადგურის პროექტი არის ძველი, რომელიც ეხება AR161220 განაცხადით ატვირთულ ანტენას, საჭიროა წარმოადგინოთ ახალი პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დამატებითი ანტენების მოწყობაც.

4. არ არის წარმოდგენილი სანიტარულ-ჰიგიენური დასკვნა პროექტზე, ატვირთეთ აღნიშნული დოკუმენტაციაც.

5. მაგთისთვის გადაცემული აქვთ შენობის სახურავზე 5 კვ.მ ფართი GSM სისტემის ანტენების განსათავსებლად. საპროექტო ობიექტზე საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ფიქსირდება წილობრივი ფართები და ერთ-ერთი ფართის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „კომფორტი“, აქედან გამომდინარე "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე", საკადასტრო კოდში მონიშნეთ თუ რომელიმე წილობრივი კოდით არსებულ ფართზე გსურთ მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელი სამუშაოების განხორციელება და იმ შემთხვევაში, თუ გურთ საერთო საკუთრებაში არსებულ ფართზე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს „კომფორტის“ წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.